



2010 წლის 26 მარტის საქართველოს კანონი
 „გენდერული თანასწორობის შესახებ“

გზამკვლევი



სარჩევი

6

შესავალი

10

Introduction

13

კანონის შინაარსობრივი მიმოხილვა

13

თავი I

16

თავი II

29

თავი III

38

თავი IV

40

გზამკვლევის მომზადებისას გამოყენებული
საკანონმდებლო აქტები:

41

საქართველოს კანონი
გენდერული თანასწოების შესახებ

48

The Law of Georgia on Gender Equality

გზამკვლევი გამიზნულია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის პოპულარიზაციისა და მისი შინაარსის გააზრება-შეფასებისთვის. გზამკვლევეში წარმოდგენილია კანონის მიღების მნიშვნელობა, მისი სამართლებრივი და სოციალური დატვირთვა, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის ურთიერთმიმართებისა და ურთიერთკავშირის ანალიზი, აღნიშნული კანონისა და მასში ჩამოყალიბებული ცალკეული დებულებების, მექანიზმებისა და სპეციალური ტერმინების განზოგადება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და მისი დაცვა-რეალიზების საქმეში. გზამკვლევეში განხილულია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის თითოეული მუხლისა თუ თავის შინაარსი, კანონის გამოყენებასა და მასში გათვალისწინებულ დებულებათა აღსრულებაზე არსებული სამართლებრივი ასპექტები.

წინამდებარე გზამკვლევი გამოდის გაეროს ქალთა ფონდის საქართველოს ოფისისა (UNIFEM) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის — „გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა“ — ეგიდით.

ავტორი:
გიორგი გოგიბერიძე

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ გაეროს ქალთა ფონდისა (UNIFEM) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ოფისებს მისამართზე: გაეროს სახლი, ერისთავის ქ. 9, თბილისი, 0179, საქართველო.
ტელ.: 998558, 251126/28/29

For further information please contact UNIFEM and UNDP offices respectively at: UN House, 9, Eristavi Street, 0179, Tbilisi, Georgia;
Tel : (995 32) 998558, 251126/28/29

The guide is aimed at promoting and raising awareness regarding the Law on Gender Equality. It analyses the significance of the adoption of the Law, its legal and social implications, provides analysis of the interrelation of the Law on Gender Equality with the existing legislation, and generalizes the Law, its individual provisions, mechanisms as well as special terms with regards to achievement and maintaining of gender equality. The guide also provides content-wise review of each article and paragraph of the Law on Gender Equality, as well as legal aspects of its application and execution of its provisions.

The guide is published under the auspices of UNIFEM Office in Georgia and UNDP “Support to Gender Equality” project.

Author:
Giorgi Gogiberidze

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის წერილი-მიმართვა



საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერული თანასწორობის შესახებ კანონის მიღება წარმოადგენს ერთ-ერთ წინ გადადგმულ ნაბიჯს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში.

დიდი ხანია რაც საქართველოს მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება საერთაშორისო თანამეგობრობა ერთობლივი ძალისხმევით ცდილობს ქვეყანაში გენდერული თანასწორობისათვის სამართლებრივი სივრცის შექმნას. ამ თვალსაზრისით ძალიან დიდ პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენს 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის მიღება.

საქართველოს კანონმდებლობით გამყარებული ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მომავალ განვითარებას.

მჯერა, რომ ეს კანონი გახდება ქმედითი დოკუმენტი და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანაბარ მონაწილეობას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მინდა აღვნიშნო, რომ ამ კანონის მიღებით საქართველოს მთავრობამ და საზოგადოებამ კიდევ ერთხელ აღიარა დემოკრატიული ღირებულებები და გამოხატა მზადყოფნა ქვეყანაში თანასწორობის პრინციპების უზრუნველსაყოფად.

ლ. ავთიშვილი

რუსუდან კერვალიშვილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის
საბჭოს თავმჯდომარე

შესავალი

საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 26 მარტს მიიღო „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ კანონის მიღებით უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა გენდერული თანასწორობის საკითხების საკანონმდებლო დონეზე მონესრიგებისა და მისი ნორმატიულ-სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად. საკანონმდებლო დონეზე განმტკიცდა და დარეგულირდა საქართველოს კონსტიტუციით დეკლარირებული სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპი. ერთ საკანონმდებლო აქტში სისტემურად და კონსოლიდირებულად ჩამოყალიბდა სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობასთან, მის დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული ნორმები. განისაზღვრა სახელმწიფოს (მისი ორგანოების) საქმიანობის საბაზისო პრინციპები გენდერული თანასწორობის საკითხთა რეგულირებისა და მისი შემდგომი დაგეგმვა-რეალიზაციის სფეროში.

თანასწორობა საზოგადოების ჰარმონიული თანაცხოვრებისა და მართლ-ნესრიგის ფუძემდებლური პრინციპია, რომლის მიზანია უზრუნველყოს ადამიანთა ბუნებრივი და თანდაყოლილი უფლებების თანასწორი განხორციელების შესაძლებლობები. ამასთან, იმავე პრინციპის გათვალისწინებით, უფლებრივი თანასწორობის მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება ყველა ადამიანზე მისი სქესისაგან დამოუკიდებლად და განურჩევლად. ეს დებულება ერთმნიშვნელოვნადაა განმტკიცებული საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლში, რომლის მიხედვითაც, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლი ასევე ადგენს საქართველოს მოქალაქეთა თანასწორობის გარანტიას, რომლის თანახმად, „საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა“.

აღსანიშნავია, რომ დეკლარირებული თანასწორობის პრინციპი არ ნიშნავს ყველა შემთხვევაში ფაქტობრივი თანასწორობის არსებობას. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქციაა უზრუნველყოს დეკლარირებულ თანასწორობასთან არსებული ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობა და ყოველგვარი პირობები შექმნას ამისათვის. ამრიგად, სწორედ სახელმწიფოს ევალება იმ განსაკუთრებული ზომების გატარება, რაც აუცილებელია შესაძლო უთანასწორობის (დარღვეული თანასწორობის) დროულად და ეფექტურად აღმოფხვრისათვის. ამ ამოცანის რეალიზებას ემსახურება მიღებული კანონიც, როგორც კიდევ

ერთი არსებითი ინსტრუმენტი სახელმწიფოს მხრიდან კონსტიტუციით დეკლარირებული სქესთა შორის თანასწორობის პრაქტიკული განხორციელების უზრუნველსაყოფად.

მიღებული კანონი არსებითად გენდერულ საკითხებზე სამართლებრივი ნორმების ჩარჩო-პრინციპების შემცველი დოკუმენტია, რომელიც ეფუძნება სქესთა შორის თანასწორობის პრიორიტეტულ, უპირობო და შეუქცევად აღიარებას და საქართველოს მიმდინარე კანონმდებლობისათვის ქმნის განმსაზღვრელ ბაზას გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში. კანონში ჩამოყალიბებულმა გენდერული თანასწორობის პრინციპებმა თანაზომიერი ასახვა და გამოხატულება უნდა ჰპოვოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მომწესრიგებელ კანონებში, რამაც ერთობლივად კანონის მიზნის განხორციელებას უნდა შეუწყოს ხელი.

კანონის უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის რეალური და ფაქტობრივი უზრუნველყოფის ხელშეწყობა და ამის მისაღწევად შესაბამისი საკანონმდებლო პირობებისა და გარანტიების შექმნა. თანასწორობის პრინციპის აღიარებისა და დამკვიდრების პარალელურად კანონის მიზანს ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა, დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამდენად, მიღებული კანონი, ერთი მხრივ, განსაზღვრავს თანასწორობის შინაარსობრივ რაობას, მეორე მხრივ, მონოდებულობა შეაფასოს ის პირობები, რამაც არსებითად დისკრიმინაციული გარემო შეიძლება შექმნას ქალისა და მამაკაცის უფლებათა რეალიზაციისათვის და თან, იმავდროულად, მიმართულია აღმოფხვრას შესაძლებელი დისკრიმინაციული გარემო.

კანონის მთავარ ღირებულებას წარმოადგენს გენდერზე არსებული შეხვედრულების საკანონმდებლო დონეზე განმტკიცება და გენდერული თანასწორობის პრინციპის რეალური და ქმედითი განხორციელებისათვის სათანადო სამართლებრივი გარანტიების შექმნა, ასევე გენდერული თანასწორობის დაცვაზე ზედამხედველობის ინსტიტუციური მექანიზმების შემოღება და მათი ფუნქციონირების პირობების განსაზღვრა. სწორედ კანონით შემოთავაზებული მექანიზმების არსებობამ უნდა განაპირობოს იმ პრევენციული სისტემის დანერგვა, რომლითაც იმთავითვე უნდა გამორიცხოს რაიმე ფორმის უთანასწორობა, ხოლო მისი გამოვლენის შემთხვევაში მოახდინოს მასზე დაუყოვნებელი და ადექვატური რეაგირება.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ მიღებული კანონი არ შეიძლება განხილულ იქნეს საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისა და

ერთიანი სამართლებრივი სივრცისაგან განცალკევებითა და მოწყვეტით. იმის გათვალისწინებით, რომ გენდერული თანასწორობის პრობლემათიკა სოციალური ხასიათისაა და მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, შესაბამისად, მიღებული კანონი და მისი თითოეული დებულება ურთიერთკავშირშია სხვა შესაბამისი სოციალური სფეროს მარეგულირებელ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებთან, ივსება და გამოიყენება მათთან ურთიერთშეფარდებისა და ორგანული კავშირის პირობებში. შესაბამისად, არის კიდევ მითითებული მიღებული კანონის მე-4 მუხლში, რომ საქართველოს კანონმდებლობა გენდერული თანასწორობის შესახებ ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ამ კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის წინაპირობები და სისტემური ძალისხმევა, რაც „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის მიღებას წინ უძღოდა და რამაც შექმნა რეალური საფუძველი ერთიანი საკანონმდებლო აქტის მომზადებისათვის. კანონის მომზადებისა და მიღებისათვის გარკვეულ ბაზისად იქცა „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია“, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2006 წლის 24 ივლისს მიიღო და რომელიც ითვალისწინებდა იმ ძირითად პრინციპებსა და მიმართულებებს, რაც გენდერულ საკითხებზე საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის შემდგომი ორიენტირი უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ 2007 წლის 26 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმა“, რომლის ერთ-ერთ მიზანს გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო ბაზის ფორმირება და კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა წარმოადგენდა. ყოველივე ეს კი ხაზს უსვამდა გენდერული თანასწორობის საკითხის აქტუალობას და დღის წესრიგში აყენებდა მისი საკანონმდებლო დონეზე მონესრიგების აუცილებლობას. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ როგორც ზემოთ მითითებული დოკუმენტები, ასევე თვით „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონი სახელმწიფო ორგანოებისა და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევითა და თანამშრომლობით მომზადდა.

აქვე უნდა აღინიშნოს გენდერული თანასწორობის სფეროში უცხო ქვეყნების სამართლებრივი გამოცდილების შესახებაც. გენდერული თანასწორობის უკეთ უზრუნველყოფის მიზნით უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში თანამედროვე მსოფლიოს რიგი ქვეყნების, ძირითადად კი ევროპული ქვეყნების (შვეიცარია, შვედეთი, ირლანდია, ისლანდია, რუმინეთი, მალტა, მაკედონია, ლიტვა, უკრაინა, მოლდოვა და ა.შ.), სამართლის სისტემაში გამოიკვეთა გენდერულ საკითხთა სისტემატიზაციისა და მათი ერთიანი საკანონმდებლო აქტში გაერთიანების ტენდენცია. ეს, რა თქმა უნდა, ზრ-

დის ამ საკითხზე არსებული ნორმების იერარქიულ დონეს, ამადლებს მათი გამოყენებისა და დაცვის ხარისხს და ხაზს უსვამს პრობლემის აქტუალურობას, ასევე სახელმწიფოთა ნებას, კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტით მოანესრიგოს მსგავსი საკითხები. დღეისათვის გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული კანონი მიღებული აქვს მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანას, მათ შორის, შვეიცარიას, შვედეთს, ირლანდიას, ისლანდიას, რუმინეთს, მალტას, მაკედონიას, ლიტვას, უკრაინას, ესპანეთს, პორტუგალიას, მოლდოვას და ა.შ.

Introduction

The Georgian Parliament adopted the Law on Gender Equality on 26 March 2010. By the adoption of this Law, a significant step has been taken for ensuring legal protection and regulation of gender equality issues at the legislative level.

The principle of equality of people regardless of their sex declared by the Constitution of Georgia has been reinforced and regulated at the legislative level. Regulations related to the equality of people irrespective of their sex, its protection and application have been consolidated and systematized in a single legislative document. Basic principles regarding the activities of the State (its bodies) on the regulation of gender equality issues and their further planning as well as implementation have also been defined.

Equality is the cornerstone of harmonious coexistence and order in the society, which aims at ensuring equal opportunities for the equal enjoyment of natural and inherent rights of human beings. At the same time, according to the same principle, requirements with regards to equality of rights apply to all regardless of their sex. This statement is unilaterally reinforced by the Article 14 of the Georgian Constitution, which states that *“Everyone is free by birth and is equal before law regardless of race, colour, language, sex, religion, political and other opinions, national, ethnic and social belonging, origin, property and title, place of residence.”* Furthermore, Article 38 of the Georgian Constitution provides guarantees for the equality of the citizens of Georgia, according to which *“Citizens of Georgia shall be equal in social, economic, cultural and political life irrespective of their national, ethnic, religious or linguistic belonging.”* At the same time, the declared principle of equality does not imply existence of factual equalities in all cases. That is why the main function of the State is to ensure compliance of factual circumstances with the declared equality, or else create conditions for its elimination. Only the aforementioned ensures implementation of special measures by the State, which is necessary for timely and efficient elimination of possible inequalities. The same purpose serves the adopted Law as one of the substantive instruments for the State to practically ensure gender equality, which is affirmed by the Constitution of Georgia.

The adopted Law is a framework document of legal provisions on gender issues, which is based on the priority, unconditional and irreversible recognition of equality of sexes, and creates defining basis for the current legislation of Georgia for ensuring gender equality. Gender equality principles elaborated in the Law should be adequately reflected in the other laws

regulating various spheres of public life, which collectively should contribute to the achievement of the goals set by the Law.

The main purpose of Law is facilitation of genuine and factual establishment of gender equality, and creation of relevant legislative conditions as well as guarantees for its achievement.

Parallel to the recognition and establishment of the principle of equality, the goals of the Law include the prevention and elimination of discrimination, creation of adequate conditions for the enjoyment of equal rights, freedoms and opportunities for men and women. Thus, the adopted Law on one hand defines substantive concept of equality, and on the other – is expected to assess the conditions which can contribute towards factually discriminatory environment for the realisation of the rights of women and men. Concurrently, the Law aims at eliminating the existing discriminatory environment.

The key significance of the Law is affirmation of gender approaches at the legislative level and creation of adequate legal guarantees for practical and efficient implementation of the gender equality principles, as well as introduction of institutional oversight mechanisms on gender equality and definition of the conditions for the operation. It is precisely the mechanisms proposed by the Law that should facilitate introduction of prevention mechanisms, which excludes discrimination in any form, and in case of its emergence, respond with immediate and adequate measures.

The adopted Law on Gender equality can neither be viewed separately nor taken independently from the other legislative acts of Georgia and the entire legislative environment. Considering social character of gender equality and that it refers to all spheres of public life, the adopted Law and each of its provisions are interrelated with the other relevant legal acts or sub-laws regulating social sector, and are complemented, as well as utilised in correlation with them. Therefore, Article 4 of the adopted Law states that the Georgian legislation on gender equality is based on the Constitution of Georgia, international treaties, the given Law and other normative acts.

It is important to acknowledge the preconditions and the systemic efforts which preceded the adoption of this Law which created real grounds for the preparation of the cohesive legislative act in this field. The basis for the preparation and adoption of the Law was the State Concept on Gender Equality for Georgia, which was adopted by the Parliament of Georgia on 24 July 2006, and which envisaged basic principles and directions for further

development of the Georgian legislation in this direction. It is also notable that on 26 September 2007, the Government of Georgia approved Gender Equality Action Plan for 2007-2009, one of the goals of which was creation of the legislative framework on gender equality and filling the gaps in the existing legislation. All the aforesaid highlighted the importance of gender equality issues, and at the same time were bringing to the table the need for their regulation at legislative level. It should also be pointed out that as the above documents, as well as the Law on Gender Equality, have been prepared by the joint effort and cooperation of State bodies, NGOs and international organisations.

Foreign legislative experience in this regard is also noteworthy. In the recent years, a number of countries in the world, mainly European countries (Switzerland, Sweden, Ireland, Iceland, Romania, Malta, Macedonia, Lithuania, Ukraine, Moldova, etc) have been carrying out systematization and concentration of gender issues into a single legislative act for the purpose of improving gender equality. It evidently increases the hierarchy of the existing norms in this field, expands their utilization and degree of protection, and highlights the importance of these issues, as well as the will of the governments to regulate gender related issues by the normative acts having the status and authority of the law. As of today, Gender Equality Laws have been adopted by more than 20 countries of the world, including Switzerland, Sweden, Ireland, Iceland, Romania, Malta, Macedonia, Lithuania, Ukraine, Spain, Portugal, and Moldova among others.

კანონის შინაარსობრივი მიმოხილვა

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი შედგება 4 თავისა და 15 მუხლისაგან. კანონი აგებულია საკანონმდებლო აქტისათვის დამახასიათებელი სტრუქტურით, შეიცავს ზოგად დებულებებს, ძირითად ნაწილს, გარდამავალ და დასკვნით დებულებებს.

თავი I

კანონის პირველი თავი შეეხება კანონის ზოგად დებულებებს, ამ თავში მოცემულია ნორმები კანონის რეგულირების სფეროს, კანონის მიზნების შესახებ, აქვეა ჩამოყალიბებული კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად კანონის რეგულირების სფერო მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სამართლებრივ ურთიერთობათა იმ არეალს, რაზეც ვრცელდება მითითებული კანონის მოქმედება და რისი რეგულირებაც კანონის მიზანს წარმოადგენს. ამის შესაბამისად, თავისი სოციალური დანიშნულების გათვალისწინებით, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგენს ქალისა და მამაკაცის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს.

ამასთან, კანონის მიზანია (მოცემულია მე-2 მუხლში) უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.

კანონის მიზანში ნათლადაა მოცემული კანონმდებლის ნება, რომ კანონის დანიშნულება არსებითად სქესის ნიშნით პირთა დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის განმტკიცებაა, რაც იმ ღირებულებით პრინციპს წარმოადგენს, რასაც არა მხოლოდ მითითებული კანონი, არამედ ამ სფეროში და ამ საკითხებზე მიღებული სხვა ნორმატიული აქტებიც უნდა ეფუძნებოდეს. კანონის მიზანია ასევე ისეთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის შესრულება, როგორცაა სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის.

როგორც აღინიშნა, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია

უფლებრივი თანასწორობა სქესის ნიშნით, ანუ კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის ძირითადი უფლებები თანასწორად ვრცელდება ქალსა და მამაკაცზე, ბუნებრივია მათი ბიოლოგიური თავისებურების გათვალისწინებით. სწორედ კონსტიტუციით დეკლარირებული ნორმის საკანონმდებლო აქტით დამატებითი მოწესრიგების ფუნქციის რეალიზებას ემსახურება მითითებული კანონი, რომლის უმთავრესი მიზანი, როგორც აღინიშნა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა და თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნაა.

აღსანიშნავია, რომ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონით ჩვენს სამართლებრივ სივრცეში საკანონმდებლო აქტით **განისაზღვრა და ნორმატიულ-სამართლებრივი ხასიათი შეიძინა გენდერსა და გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულმა სპეციალურმა ტერმინებმა**, რაც ამ სოციალური მოვლენის იდენტიფიცირებისა და მისი შემდგომი ადექვატური სამართლებრივი შეფასება-გამოყენების უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს. კერძოდ, მითითებულ კანონში მოცემულია გენდერის, გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის, პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის, თანასწორი შესაძლებლობების, თანასწორი მოპყრობის, განსაკუთრებული ღონისძიების ტერმინთა განმარტება. ამ ტერმინების განმარტება ბევრად უწყობს ხელს კანონის სწორად გამოყენებას, კანონის მიზანთან და მის რეგულირებასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრას, ასევე საზოგადოების გათვითცნობიერებას საკითხის არსსა და შინაარსში.

აღსანიშნავია **გენდერისა და გენდერული თანასწორობის დეფინიცია**, რომლის მიხედვით, გენდერი სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტია, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე, ხოლო გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა ნაწილს წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

აღსანიშნავია **გენდერისა და გენდერული თანასწორობის დეფინიცია**, რომლის მიხედვით, გენდერი სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტია, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე, ხოლო გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა ნაწილს წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და

თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. კანონის მიხედვით, **დისკრიმინაცია**დ **განიხილება** სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა ან/და შეზღუდვა, რომელიც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან უარყოფით და ხორციელდება პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის ფორმით. შესაბამისად, კანონმდებელი ახდენს დისკრიმინაციის ცნების დიფერენციაციას, დისკრიმინაციად განიხილავს არა მხოლოდ უშუალო დისკრიმინაციული ხასიათის მოქმედებას, არამედ ისეთ მოქმედებასაც, რომელიც, მართალია, არ ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს, მაგრამ მისმა განხორციელებამ შეიძლება დისკრიმინაციული შედეგი გამოიღოს.

კანონის მიხედვით, **პირდაპირი დისკრიმინაცია** გულისხმობს სამართლებრივი აქტის, პროგრამის თუ სხვა საჯარო პოლიტიკის საფუძველზე პირის სქესის ნიშნით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენებას, ხოლო **ირიბ დისკრიმინაციად** განიხილება სამართლებრივი აქტი, პროგრამა თუ სხვა საჯარო პოლიტიკა, რომელიც პირდაპირ არ მიუთითებს დისკრიმინაციაზე, მაგრამ რომლის განხორციელება დაკავშირებულია დისკრიმინაციული შედეგის მიღებასთან.

კანონი ასევე გვთავაზობს **თანასწორი შესაძლებლობებისა და თანასწორი მოპყრობის ტერმინთა განმარტებას**. თანასწორი შესაძლებლობები ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის საშუალებებისა და პირობების სისტემაა, ხოლო თანასწორი მოპყრობა გულისხმობს განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარებას, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობას.

მიღებულ კანონში ასევე მოცემულია **განსაკუთრებული ღონისძიების დეფინიცია**, რაც გულისხმობს ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს დისკრიმინაციული შედეგების გამოსწორებას და ეხება პირთა წრეს, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას გენდერული თავისებურებებიდან გამომდინარე (კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ვ) ქვეპუნქტი). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ არც კანონში და არც მისგან გამომდინარე რაიმე სამართლებრივ აქტში (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორსულ და ფეხმძიმე ქალებთან, ასევე დედათა სოციალურ და სამართლებრივ დაცვასთან დაკავშირებით კანონმდებლობაში არსებულ ცალკეულ ნორმებს) ჯერჯერობით არ გვხვდება რაიმე მსგავსი მექანიზმი და არც ის გარემოებები და პირობებია განსაზღვრული, რომელთა არსებობისას შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო მსგავსი ღონისძიებები.

თავი II

კანონის მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სამართლებრივი გარანტიების განსაზღვრა და სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის აღიარება სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. იგულისხმება შრომითი ურთიერთობები, განათლებისა და მეცნიერების სფერო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სფერო, საოჯახო ურთიერთობები, საინფორმაციო რესურსებით სარგებლობა, საარჩევნო უფლებების რეალიზაცია და ა.შ. შესაბამისი სტრუქტურით არის აგებული კიდეც **მიღებული კანონის მე-2 თავი**.

მითითებულ თავში იმთავითვე იკვეთება სახელმწიფოს ფუნქცია და მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში. კერძოდ, კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი, პროგრამა თუ საჯარო პოლიტიკის სხვა გამოვლინება შეზღუდული და შემოფარგლულია მსგავსი თანასწორი უფლებების აღიარებისა და დაცვის ვალდებულებით.

კანონის თანახმად, გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფილია: „ქალისა და მამაკაცის თანასწორი ინდივიდუალური უფლებები და თავისუფლებები; ქალისა და მამაკაცისათვის განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე; მუუღლეთა უფლებრივი თანასწორობა; შვილებთან დაკავშირებული თანასწორი უფლებები და მოვალეობები; ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლება-მოვალეობები – იყვნენ ბავშვთა მეურვეები, მზრუნველები, რწმუნებულები, მშვილებლები; ოჯახსა და საზოგადოებაში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა; პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფალი არჩევა, თანამდებობრივი დანიშნულება, პროფესიული მომზადება/გადამზადება; საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება პროფესიული ნიშნის, უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად; თანასწორი მოპყრობა ქალისა და მამაკაცის მუშაობის ხარისხის შეფასებისას; თანაბარი სოციალური უზრუნველყოფა ქალისა და მამაკაცის ავადმყოფობისას და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენის შემთხვევაში; თანასწორი შესაძლებლობების შექმნა ქალისა და მამაკაცის ჯანმრთელობის დაცვისას; ქალისა და მამაკაცისათვის თანასწორი შესაძლებლობების შექმნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისას.

აღნიშნული დებულებების პრაქტიკული რეალიზების მიზნით „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საბაზისო პრინციპებს საზოგადოებრივი თუ საოჯახო ცხოვრების სფეროში, რომლებიც ორგანულად დაკავშირებულია შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ სპეციალურ სამართლებრივ აქტებთან.

კანონი აღიარებს ქალისა და მამაკაცის ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობას დისკრიმინაციის გარეშე. შესაბამისად, ადგენს თანაბარ პირობებში მათი თანაბარი გამოყენების შესაძლებლობას და არ უშვებს გაუმართლებელ და დაუსაბუთებელ საფუძველზე მათ შეზღუდვას ან/და დისკრიმინაციას.

აღსანიშნავია, რომ კანონი აღიარებს ქალისა და მამაკაცის ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობას დისკრიმინაციის გარეშე. შესაბამისად, ადგენს თანაბარ პირობებში მათი თანაბარი გამოყენების შესაძლებლობას და არ უშვებს გაუმართლებელ და დაუსაბუთებელ საფუძველზე მათ შეზღუდვას ან/და დისკრიმინაციას. ინდივიდუალური უფლებები საკმაოდ მრავალფეროვანია და მოიცავს მათით სარგებლობას პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში. მსგავს უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული და დაცული ადამიანის ისეთი უფლებები, როგორიცაა სიცოცხლის უფლება, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვის უფლება, სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება, პირადი ჩანაწერის, მიმონერის, სატელეფონო და სხვა ტექნიკური საშუალებით საუბრის ხელშეუხებლობის უფლება, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება, ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება, რეფერენდუმში, სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება, საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება, განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება და ა.შ.

გენდერულ საკითხებზე სტატისტიკურ მონაცემთა განზოგადების რაციონალური სისტემის ფორმირების, სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემების არსებობისა და შესაბამისი ანალიზის ეფექტური წარმოების უზრუნველყოფის მიზნით, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლი ითვალისწინებს გენდერულ სფეროში სტატისტიკის წარმოებას, რომლის მიხედვითაც, გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით **ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში შედის სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები**. საქართველოში ოფიციალური სტატისტიკის წარმოების წესი და პირობები განსაზღვრულია „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. ამ კანონის თანახმად, ოფიციალური სტატისტიკა ეს არის სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ სტატისტიკურ საქმიანობათა სისტემა, რომლის საფუძველზედაც მიიღება

ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული და ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები (კანონის მე-3 მუხლის ე) ქვეპუნქტი). ამავე კანონის მიხედვით, სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა არის საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული ყოველწლიური და გრძელვადიანი გეგმა, რომელიც ძირითადად მოიცავს შესასრულებელ სამუშაოთა ჩამონათვალს და შემსრულებლებს, დაკვირვების პერიოდულობისა და გამოქვეყნების თარიღების მითითებით (კანონის მე-3 მუხლის თ) ქვეპუნქტი). „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკის წარმოებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. აღსანიშნავია, რომ კანონის მიხედვით, აღნიშნული სამსახური სტატისტიკას აწარმოებს საქსტატის საბჭოს მიერ დამტკიცებული/ აღიარებული საერთაშორისო ანალოგიების შესაბამისი მეთოდოლოგიისა და სტანდარტების საფუძველზე. ამასთან, კანონში ერთმნიშვნელოვნადაა მითითებული, რომ „სტატისტიკის წარმოება და მისი წარმოების შედეგად მიღებული ინფორმაციის გავრცელება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებსა და გამოცდილებას“ (მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი). უნდა აღინიშნოს, რომ „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ოფიციალური სტატისტიკის წარმოების უფლებამოსილება ასევე აქვთ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ორგანოებს, კერძოდ, კანონის მე-16 მუხლის მიხედვით, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები თავიანთი საქმიანობის მიზნების, ამოცანებისა და მოვალეობების გათვალისწინებით აწარმოებენ ოფიციალურ სტატისტიკას საბჭოს მიერ დამტკიცებული/აღიარებული საერთაშორისო ანალოგიების შესაბამისი მეთოდოლოგიისა და სტანდარტების საფუძველზე“.

აღსანიშნავია, რომ „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ოფიციალური სტატისტიკური კვლევის უმნიშვნელოვანესი ობიექტია მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რაც გულისხმობს განსაზღვრულ დროს ქვეყნის მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების მახასიათებელი მონაცემების მოპოვების, დამუშავების, შეფასების, ანალიზის, განზოგადებისა და გამოქვეყნების ერთიან პროცესს. აღწერა ტარდება საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მოსახლეობის შესახებ ზუსტი მონაცემების მისაღებად, რაც აუცილებელია ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების დადგენის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და საზოგადოების ინფორმირებისათვის.

ოფიციალური სტატისტიკის წარმოების მითითებული მექანიზმებისა და სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამაში შესაბამისი სამუშაოების გათვალისწინების პირობებში შესაძლებელი გახდება განხორციელდეს სტატისტიკური დაკვირვება საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში (სოციალურ, დემოგრაფიულ, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საარჩევნო

უფლების რეალიზაციის, წარმომადგენლობითი ორგანოების ფორმირების და ა.შ.) გენდერული თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობაზე, რაც თავის მხრივ, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის პრინციპის გათვალისწინებით, შესაძლებელია ადექვატური ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების (მათ შორის, საკანონმდებლო თვალსაზრისითაც) საფუძველი გახდეს.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი შეეხება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებს ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროში, როგორცაა შრომითი ურთიერთობები. მითითებული მუხლით აღიარებულია, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის პირთათვის. ამასთან, აღნიშნულია, რომ დასაქმებისას და შრომითი მოვალეობების შესრულებისას დასაშვებია სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ან/და მათთვის უპირატესობის მინიჭება, რაც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

აღნიშნული დებულება, მართალია, დასაქმებისა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას უშვებს სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების შესაძლებლობას, თუმცა ამას განაპირობებს ობიექტური ფაქტორები, რაც ადამიანთა ფიზიკურ შესაძლებლობებსა და შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკასა და შესრულების პირობებს უკავშირდება. შესაბამისად დგინდება არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების ზღვარი და მისი სამართლებრივი დასაბუთების პირობები, კერძოდ, მსგავს არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება უნდა ემსახურებოდეს კანონიერი მიზნის მიღწევას და უნდა იყოს მიზნის მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.

ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლი, რომელიც ადგენს რა საქართველოს ყოველი მოქალაქის უფლებას, დაიკავოს ნებისმიერი სახელმწიფო თანამდებობა, განსაზღვრავს შეზღუდვის იმ ობიექტურ პირობებს, რამაც ამ უფლების რეალიზების შეფერხება შეიძლება გამოიწვიოს; კერძოდ, ამ მუხლის მიხედვით, სახელმწიფო თანამდებობის დაკავების მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნები მოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15-მე-20 მუხლებში.

შრომითი ურთიერთობებისას დაუშვებელია: პირის დისკრიმინაცია, დევნა ან/და იძულება, რომელიც მიზნად ისახავს ან ინვესტის მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას; სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან ინვესტის პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფის მიზნით „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონში განმტკიცებულია ნორმა, რომლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობებისას დაუშვებელია: პირის დისკრიმინაცია, დევნა ან/და იძულება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნას; სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნას.

საქართველოში შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო აქტია „საქართველოს შრომის კოდექსი“, რომელიც განსაზღვრავს საქართველოში შრომითი ურთიერთობის წარმოშობის, განვითარების, შეცვლის, შეწყვეტის, ასევე შრომითი ურთიერთობების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. მითითებული კოდექსი და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი ასევე შეიცავს იმ ცალკეულ ნორმებს, რომლებიც შრომითი ურთიერთობებისას გენდერული თანასწორობისა და განსაკუთრებული მოპყრობის პრინციპების დაცვასა და რეალიზებას შეეხება და ორგანულად უკავშირდება „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის ზემოაღნიშნულ ნორმებს. კერძოდ, „საქართველოს შრომის კოდექსის“ მიხედვით, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. ამასთან, მითითებული კოდექსით განმტკიცებულია, რომ შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულების გამო. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შრომის კოდექსი შრომითი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს ავალდებულებს შრომითი ურთიერთობისას დაიცვან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ანალოგიური ნორმებია გათვალისწინებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მე-13 მუხლის მიხედვით, საქართველოში საჯარო სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია საქართველოს მოქალაქეთათვის საჯარო სამსახურის თანაბარი ხელმისაწვდომობა, მათი უნარისა და პროფესიული მომზადების შესაბამისად.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებს შრომითი ურთიერთობებისას, ადგენს განსაკუთრებული მოპყრობის პირობებს ორსული ქალებისა და მეჭუქური დედებისათვის, რაც უნდა განიხილებოდეს არა როგორც მათ მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა, არამედ როგორც მსგავსი კატეგორიის ადამიანებისათვის სამართლებრივი

და სოციალური დაცვის დამატებითი პირობების შექმნა. ამ მუხლის მიხედვით, კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილია ორსული ქალებისა და მეძუძური დედებისათვის შრომის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რაც გამოორიცხავს მათ საქმიანობას მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან გარემოში, აგრეთვე — ღამის საათებში.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მიხედვით, „აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად“. ამავე კოდექსის მე-17 და მე-18 მუხლების მიხედვით, ასევე იკრძალება ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე, ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) არასრულწლოვნის, ორსული, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალის დასაქმება, ხოლო 3 წლამდე ასაკის ბავშვის მომვლელის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმება მისი თანხმობის გარეშე. კოდექსის 35-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით კი, დამსაქმებელი ვალდებულია უზრუნველყოს ორსული ქალის დაცვა ისეთი შრომისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ან ნაყოფის კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

ამასთან, საქართველოს შრომის კოდექსი ითვალისწინებს გარკვეულ შეღავათებსა და სოციალური დაცვის გარანტიებს დედებისათვის, კერძოდ, კოდექსის მე-19 მუხლის მიხედვით, მეძუძური ქალისათვის არსებობს დამატებითი შესვენება, ანუ დასაქმებულს, რომელიც მეძუძური ქალია და კვებავს ერთ წლამდე ასაკის ბავშვს, მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა. ბავშვის კვებისათვის შესვენება ითვლება სამუშაო დროდ და ანაზღაურდება.

საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით, დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა შვებულება ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო 477 კალენდარული დღის ოდენობით. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან ანაზღაურდება 126 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 140 კალენდარული დღე. ანალოგიური ნორმაა გათვალისწინებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 40¹ მუხლში საჯარო სამსახურში დასაქმებული პირებისათვის. ამასთან, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 40¹ და 111-ე მუხლები ითვალისწინებს ორსული ქალის სოციალური დაცვის გარანტიებს, რომლის მიხედვით, „მოხელე (ქალი) არ შეიძლება განთავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო“ („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტი). კანონის 40¹ მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით კი — „მოსამსახურეს ორსულობის პერიოდში

ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების გამო გაცდენილი სამუშაო საათები ჩათვლება საპატიოდ გამოკვლევების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში და შეუნარჩუნდება ხელფასი“.

სახელმწიფო უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის მიერ ყველა სახის საგანმანათლებლო დანესებულებებში ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებაში თანასწორი პირობების შექმნას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების განხორციელებაში მონაწილეობის ჩათვლით.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი შეეხება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სახელმწიფო გარანტიებს საზოგადოებრივი ურთიერთობის ისეთ სფეროში, როგორცაა განათლებისა და მეცნიერების სფერო. ამ მუხლის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის მიერ ყველა სახის საგანმანათლებლო დანესებულებებში ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებაში თანასწორი პირობების შექმნას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების განხორციელებაში მონაწილეობის ჩათვლით. ამასთან, მითითებული მუხლის მიხედვით, ყველას აქვს საკუთარი შესაძლებლობის გათვალისწინებით პროფესიისა და სპეციალობის თავისუფლად არჩევის უფლება. ამ თანასწორობის უზრუნველყოფა ხდება ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობით დისკრიმინაციის გარეშე.

განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანასწორი შესაძლებლობების პირობები აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით, ზოგადი განათლების შესახებ, უმაღლესი განათლების შესახებ, პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონებითა და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით.

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ა) და თ) ქვეპუნქტების მიხედვით, უმაღლესი განათლების მიზნის მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობასა და ღია ხასიათს, უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის, აკადემიური, რელიგიური თუ ეთნიკური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესის, სოციალური წარმოშობისა და სხვა ნიშნით.

ანალოგიურ ნორმებს შეიცავს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი. ამ კანონის 31-ე მუხლის მიხედვით, პროფესიული სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის სქესისა, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებებისა,

ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვა.

განათლების სფეროს მარეგულირებელ სპეციალურ საკანონმდებლო აქტებში შესაბამისად ასახულია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონით დეკლარირებული თანასწორობის უზრუნველყოფისა და შესაბამისი პირობების დაცვის გარანტიები განათლებისა და მეცნიერების სფეროში.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი ადგენს თანასწორობის პრინციპებს საზოგადოებრივი ურთიერთობის ისეთ სფეროში, როგორცაა საინფორმაციო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება. აღნიშნული ნორმის მიხედვით, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ვალდებული არიან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყონ მათთან დაცული საჯარო ინფორმაციის მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა, დაინტერესებული პირის სქესის ნიშნით განსხვავების მიუხედავად“.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის ზემოთ მითითებული ნორმით განსაზღვრული საინფორმაციო რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის საკითხების დამატებითი რეგლამენტაცია და ამ რესურსებით სარგებლობის პროცედურული ნორმები მოცემულია საქართველოს მიმდინარე კანონმდებლობაში. კერძოდ, ინფორმაციის თავისუფლების, ხელმისაწვდომობისა და საჯარო დაწესებულებებში დაცული მონაცემების საჯაროობის საკითხები რეგულირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. ამ კოდექსის 37-ე მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე — გაეცნოს ინფორმაციას დედანში“.

საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული კოდექსის 42-ე მუხლი განსაზღვრავს ინფორმაციის იმ კატეგორიას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია. ამ მუხლის მიხედვით, ყველას აქვს უფლება იცოდეს: ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ სამიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას; საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები; არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია; საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე, საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი; საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი; საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა-არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა

წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათი ცვლილების თაობაზე; საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია და ა.შ.

აღნიშნული კოდექსი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პირთა პერსონალურ მონაცემებს, მათი დამუშავებისა და საჯაროობის საკითხებს. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით, „პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და, ამ კოდექსის თანახმად, სხვა პირებისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. პირს აქვს უფლება გაცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები“. კოდექსის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან „არ დაუშვან საჯარო დაწესებულების მიერ ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა ან გაცემა, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობრივ შეხედულებებთან.“ ამასთან, საჯარო დაწესებულება ვალდებულია „პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისას აცნობოს შესაბამის პირს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები; სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მისთვის პერსონალური მონაცემების მიცემა; პერსონალურ მონაცემთა წყაროები და შემადგენლობა; აგრეთვე იმ მესამე პირების შესახებ, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ პერსონალური მონაცემები“. ამავე კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით კი — „საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნიებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე“.

საქართველოს კანონმდებლობის მითითებული დებულებები ავსებს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონით განმტკიცებულ სქესის ნიშნის მიუხედავად ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპს და ერთობლიობაში მსგავსი ნორმის დაცვისა და პრაქტიკული განხორციელების უზრუნველყოფის გარანტიას წარმოადგენს.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი შეეხება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სფეროებში. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სფეროებში უზრუნველყოფილია მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა დისკრიმინაციის გარეშე“.

სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპის პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებული ნორმები გვხვდება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ სპეციალურ საკანონმდებლო აქტებში. კერძოდ, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს

კანონში, რომლის მე-4 მუხლის მიხედვით, „ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის პრინციპებია: მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს ნაკისრი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით გათვალისწინებული ვალდებულების ფარგლებში; ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა, პაციენტის პატივის, ღირსების და მისი ავტონომიის აღიარება.

აღნიშნული კანონის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებს „უფლება აქვთ ისარგებლონ დადგენილი წესით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სამედიცინო დახმარებით“. ამასთან, კანონის მე-6 მუხლის თანახმად, „არ დაიშვება პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო“.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ასევე „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მე-6 მუხლის მიხედვით, აკრძალულია „პაციენტის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, გენეტიკური მემკვიდრეობის, რწმენისა და აღმსარებლობის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, დაავადების, სექსუალური ორიენტაციის ან პირადული უარყოფითი განწყობის გამო“. ამასთან, ამავე კანონის მიხედვით, „პაციენტს უფლება აქვს სამედიცინო მომსახურების გამწვევისაგან მოითხოვოს მისი ღირსების, ტრადიციების, აღმსარებლობისა და პიროვნული ფასეულობების პატივისცემა“ (მუხლი 15.).

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის თანახმად, „საქართველოს თითოეულ მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური, დროული და გასაგები ინფორმაცია იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს მისი ჯანმრთელობის შენარჩუნებას ან უარყოფითად მოქმედებს მასზე“. იმავე ნორმას შეიცავს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი, რომლის მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში საქართველოს ყველა მოქალაქის უფლებას წარმოადგენს „მისთვის გასაგები ფორმით მიიღოს ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია, აგრეთვე, მოიძიოს მეორე აზრი საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ“. ასევე „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანის უფლებაა ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში, დროულად მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია პროფილაქტიკური აცრის არსისა და აუცილებლობის, მოსალოდნელი კლინიკური გამოსავლის, აცრასთან დაკავშირებული რისკისა და აცრაზე უარის თქმის შემთხვევაში შესაძლო შედეგების შესახებ“.

საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მიხედვით, თანასწორობის პრინციპის დარღვევად და დისკრიმინაციად არ განიხილება დედათა და ბავშვთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის მიზნით კანონმდებლობით დადგენილი გარკვეული შეღავათები და გარანტიები, რაც მათი სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება.

უნდა აღინიშნოს, რომ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მიხედვით, თანასწორობის პრინციპის დარღვევად და დისკრიმინაციად არ განიხილება დედათა და ბავშვთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის მიზნით კანონმდებლობით დადგენილი გარკვეული შეღავათები და გარანტიები, რაც მათი სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას ემსახურება. ამ მუხლის თანახმად, „დისკრიმინაციად არ განიხილება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის, ოჯახის დაგეგმვისა და ქალთა რეპროდუქციული უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული განსაკუთრებული ღონისძიებები, აგრეთვე ორსული ქალისა და დედობის დაცვისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა, გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით განხორციელებული სხვა ღონისძიებები“.

კანონის თანახმად, „საოჯახო ურთიერთობებში, ქორწინებისა და განქორწინების დროს ქალი და მამაკაცი სარგებლობენ თანასწორი პირადი და ქონებრივი უფლებებით, მათ შორის, გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევის უფლებით და ეკისრებათ თანასწორი მოვალეობები. საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით დისკრიმინაცია ან უპირატესობის მინიჭება“.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი შეეხება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებს ისეთ მნიშვნელოვან სოციალურ სისტემაში, როგორც საოჯახო ურთიერთობებია. კანონის მიხედვით, უპირობოდ აღიარებული და განსაზღვრულია მითითებულ სფეროში თანასწორობა. კერძოდ, კანონის თანახმად, „საოჯახო ურთიერთობებში, ქორწინებისა და განქორწინების დროს ქალი და მამაკაცი სარგებლობენ თანასწორი პირადი და ქონებრივი უფლებებით, მათ შორის, გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევის უფლებით და ეკისრებათ თანასწორი მოვალეობები. საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით დისკრიმინაცია ან უპირატესობის მინიჭება“. უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული ნორმით კანონმდებელი ხაზს უსვამს ქალისა და მამაკაცის არა მხოლოდ უფლებრივ თანასწორობას საოჯახო ურთიერთობებში, არამედ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს ვალდებულებების სფეროშიც მათი თანასწორობის აუცილებლობას.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით საოჯახო ურთიერთობებში აღიარებულ თანასწორობის პრინციპს უკავშირდება საქართველოს კანონმდებლობის რიგი ნორმებისა, რაც მითითებული პრინციპის ეფექტურ რეგლამენტაციას უწყობს ხელს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლში განმტკიცებულია ნორმა, რომლის მიხედვით, „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, რომლის 1106-ე მუხლში, რომელიც შეეხება ქორწინების ცნებას, მითითებულია, რომ ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, იმავე კოდექსის 1152-ე მუხლის მიხედვით კი — „საოჯახო ურთიერთობებში მეუღლეები სარგებლობენ თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებებით და ეკისრებათ თანაბარი მოვალეობანი“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1153-ე მუხლის მიხედვით, დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში იკრძალება ყველა სახის დისკრიმინაცია, მათ შორის დისკრიმინაცია სქესის ნიშნის მიხედვით, კერძოდ, „დაქორწინებისას და საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებათა პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, პირდაპირი ან არაპირდაპირი უპირატესობის მინიჭება ნარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიხედვით“.

მეუღლეთა თანასწორობისა და დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიზნით როგორც „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისე საოჯახო ურთიერთობის მარეგულირებელი აქტი – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი — ითვალისწინებს ცალკეულ ნორმებსა და მექანიზმებს. კერძოდ, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მიხედვით, „ოჯახში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლება აქვთ, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის საკითხები. ოჯახში მეუღლეთა მიერ განეულ შრომასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები თანასწორია. მეუღლეებს აქვთ ქონების ფლობის, შექმნის, მართვის, გამოყენებისა და განკარგვის თანასწორი უფლება“. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1154-ე მუხლის მიხედვით, „დაქორწინების დროს მეუღლეებს სურვილისამებრ შეუძლიათ აირჩიონ ერთ-ერთი მეუღლის გვარი თავიანთ საერთო გვარად, ან თითოეულმა დაიტოვოს თავისი ქორწინებამდელი გვარი, ანდა თავისი გვარი შეუერთოს მეუღლის გვარს.“

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის თანახმად, „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შექმნილი ქონება ნარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი“. უფრო მეტიც იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება ნარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ენეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი

შემოსავალი“. ამასთან, კოდექსის 1160-ე მუხლის მიხედვით, „იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას“.

მშობლების თანასწორი უფლებები შვილების აღზრდისა და საოჯახო ურთიერთობებში განმტკიცებულია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტში, რომლის მიხედვით, „შვილების აღზრდისა და ოჯახის სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად, ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. გარანტირებული და უზრუნველყოფილია მეუღლეთა მიერ საქმიანობისა და შვილების აღზრდის თანასწორი შესაძლებლობები“. აღნიშნულ საკითხებს შეეხება ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რიგი ნორმებისა, კერძოდ, კოდექსის 1155-ე მუხლის თანახმად, „შვილების აღზრდისა და ოჯახის სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად წყვეტენ“, კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, „შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ“, ხოლო კოდექსის 1200-ე მუხლის მიხედვით, „შვილების აღზრდის ყველა საკითხს მშობლები ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ“. ასევე კოდექსის 1194-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „შვილს სახელს არქმევენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით“.

კანონის 11-ე მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე. წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის უფლების რეალიზაციისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ორივე სქესის პირთა თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა. ქალები და მამაკაცები შეიძლება არჩეულ იქნენ თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე“.

საარჩევნო უფლებების თანაბარი რეალიზაციის საკითხს შეეხება **„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი**. ამ მუხლით განმტკიცებულია თანასწორობის უფლება როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლების რეალიზაციისას, ანუ თანასწორი შესაძლებლობა, აირჩიოს ან/და იყოს არჩეული. კანონის 11-ე მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე. წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის უფლების რეალიზაციისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ორივე სქესის პირთა თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა. ქალები და მამაკაცები შეიძლება არჩეულ იქნენ თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე“.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონით განმტკიცებული თანასწორი საარჩევნო უფლების გარანტიები ასახვას ჰპოვებს საარჩევნო პროცესის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტში, რაც მისი დაცვისა და გამოყენების უმნიშვნელოვანესი საფუძველია. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-4 მუხლი,

რომლის მიხედვით, საქართველოში არჩევნების ძირითადი პრინციპებია ის, რომ „საქართველოში არჩევნები ტარდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით“, ხოლო ამავე კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, „არჩევნებში ამომრჩევლები თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ“.

საარჩევნო კოდექსით ასევე განსაზღვრული და რეგლამენტირებულია აქტიური (აირჩიოს) და პასიური (იყოს არჩეული) საარჩევნო უფლებით სარგებლობის პირობები. კერძოდ, კოდექსის მე-5 მუხლი მიხედვით, აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდება 18 წელი და რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირობისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად ამ კანონით შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება; პასიური საარჩევნო უფლება კი აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ პირობებს, გარდა იმ პირობისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად ამ კანონით (73-ე, 76-ე, 78-ე, მე-80, 92-ე, 94-ე, 98-ე, 109-ე მუხლებით) ან „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით შეზღუდული აქვთ პასიური საარჩევნო უფლება.

თავი III

კანონის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს გენდერული თანასწორობის დაცვაზე ზედამხედველობის ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება, რაც გენდერული თანასწორობის რეალური უზრუნველყოფისა და შესაბამისი საკითხების ქმედითი გადაწყვეტის მთავარი გარანტიაა. **მსგავსი მექანიზმების შემოღებასა და დამკვიდრებას შეეხება „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის მე-3 თავი.** ზედამხედველობის ამ მექანიზმებმა მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი როგორც აღნიშნული კანონის რეალურ ამოქმედებას, ისე გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებული შემდგომი საქმიანობის დაგეგმვასა და განხორციელებას.

გენდერული საკითხების გადაწყვეტა-რეგულირებისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში მთავარი განმსაზღვრელი ფუნქცია აკისრია საქართველოს პარლამენტს. პარლამენტის უფლებამოსილებებში, მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლის გამოყენებით, აკუმულირდება გენდერული თანასწორობის სფეროში პოლიტიკის შემდგომი განსაზღვრა-დაგეგმვისა თუ ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ხელშეწყობის ფუნქცია.

აღსანიშნავია, რომ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, გენდერული საკითხების გადაწყვეტა-რეგულირებისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში მთავარი განმსაზღვრელი ფუნქცია აკისრია საქართველოს პარლამენტს. პარლამენტის უფლებამოსილებებში, მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლის გამოყენებით, აკუმულირდება გენდერული თანასწორობის სფეროში პოლიტიკის შემდგომი განსაზღვრა-დაგეგმვისა თუ ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ხელშეწყობის ფუნქცია. კერძოდ, კანონის მე-12 მუხლში, რომელიც შეეხება გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას საქართველოს პარლამენტის მიერ, აღნიშნულია, რომ „საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს გენდერულ სფეროში საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, აღნიშნულთან მიმართებით პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლს“. შესაბამისად, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სფეროში საქართველოს პარლამენტის ფუნქცია გულისხმობს როგორც საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, ასევე პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობასა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებში საქართველოს პარლამენტის როლის განსაზღვრის მიზნით საჭიროა ამ სფეროში საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებები მიმოვიხილოთ.

საკანონმდებლო უფლებამოსილების განხორციელება პარლამენტის საქმიანობის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა, ასევე მრავალფეროვანია პარლამენტის საქმიანობის საკონტროლო ფუნქცია, რომელიც მოიცავს პარლამენტის მიერ საქართველოს კონსტიტუციითა და პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებას. საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და საქართველოს სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით განისაზღვრება ასევე პარლამენტის წინაშე სახელმწიფო ორგანოთა და თანამდებობის პირთა ანგარიშვალდებულების პირობები.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის პრეოგატივია საკანონმდებლო საქმიანობა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული, პასუხისმგებელი თანამდებობის პირების, ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობის კონტროლი. საკანონმდებლო საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით პარლამენტის წევრს, პარლამენტის კომიტეტს, საპარლამენტო ფრაქციას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

საქართველოს კონსტიტუციის 56-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით,

„საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების და მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით პარლამენტში მისი უფლებამოსილების ვადით იქმნება კომიტეტები“. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 42-ე მუხლის მიხედვით, კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს, განიხილავს და პარლამენტის პლენარული სხდომისათვის ამზადებს კანონების, პარლამენტის დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს; მონაწილეობს პარლამენტში შესული კანონ-პროექტების განხილვა-დამუშავებაში, ამზადებს დასკვნებს“.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 202-ე მუხლის თანახმად, „პარლამენტი უშუალოდ და მის მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელს უწყობს საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, პარლამენტის სხვა აქტების შესრულებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით დადგენილი წესით ნდობას უცხადებს საქართველოს მთავრობის შემადგენლობას და კონტროლს უწევს მთავრობის, მთავრობის წევრთა საქმიანობას, საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებებისა და მოვალეობების უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას, პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული, დამტკიცებული სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას“. ამავე მუხლის მიხედვით, „პარლამენტი კონტროლს უწევს მთავრობის, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათი შესრულების მდგომარეობას, შეისწავლის და აანალიზებს ნორმატიული აქტის აღსრულების მდგომარეობას, ეფექტიანობას, მისი მოქმედების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს, განიხილავს მათ აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებებს, ასევე ნორმატიული აქტის სრულფასოვნად ამოქმედების ხელის შემშლელ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებს. პარლამენტი საჭიროების შემთხვევაში იღებს დადგენილებას, რომელშიც შეიძლება აისახოს პარლამენტის შეფასება ნორმატიული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, ნორმატიულ აქტში სათანადო შესწორებების შეტანის რეკომენდაციით (დავალებით)“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 219-ე მუხლის თანახმად, საქართველოს „პარლამენტის მიერ არჩეული, დანიშნული, დამტკიცებული სხვა პირი და ის თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზედაც თანხმობა მისცა პარლამენტმა, მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია დაესწროს პარლამენტის, კომიტეტის, საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიის, უმრავლესობის, უმცირესობის სხდომებს, დადგენილ ვადაში წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები, სხვა მასალები და განმარტება მისცეს განსახილველ საკითხზე. ამ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე მოუსმენს პარლამენტი, კომიტეტი ან კომისია“.

საქართველოს პარლამენტის 220-ე მუხლის მიხედვით, „კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს მის სფეროში მოქმედი პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობას. პარლამენტი პლენარულ სხდომაზე რეგულარულად ისმენს შესაბამისი კომიტეტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირებისგან ინფორმაციას მის მიერ მიღებული ნორმატიული აქტების აღსრულების მდგომარეობის შესახებ. კომიტეტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დანესებულების მოხსენება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შესაბამისი ნორმატიული აქტის აღსრულების მდგომარეობის, ეფექტიანობის, მისი მოქმედების პერიოდში გამოვლენილი ხარვეზებისა და მათ აღმოსაფხვრელად საჭირო საკანონმდებლო შესწორებების შესახებ, ასევე ნორმატიული აქტის სრულფასოვნად ამოქმედების ხელის შემშლელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ანალიზს. ნორმატიული აქტის აღსრულების მდგომარეობის შესახებ საპარლამენტო მოსმენის შემდეგ პარლამენტი საჭიროების შემთხვევაში იღებს დადგენილებას, რომელშიც შეიძლება აისახოს პარლამენტის შეფასება ნორმატიული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, ნორმატიულ აქტში შესწორებების შეტანის დავალება შესაბამისი კომიტეტისათვის ან დაისვას აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დანესებულების თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისას პარლამენტის წევრს უფლება აქვს „სათათბირო ხმის უფლებით მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მუშაობაში და მათ წინაშე დასვას საკითხები საქართველოს კანონებისა და სხვა აქტების დარღვევის გამო; კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, მთავრობის წევრს, ქალაქის მერს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დანესებულებებს, მიიღოს და შეაფასოს პასუხები; კანონით დადგენილ ფარგლებში და რეგლამენტით განსაზღვრული წესით მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საქართველოს კანონების შესრულების შემოწმებაში ან მოტივირებული უარი განაცხადოს ასეთი დავალების შესრულებაზე; შესაბამისი ორგანოების წინაშე დასვას საკითხი საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესრულების შემოწმების თაობაზე“.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 221-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის „კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონტროლს უწევს თავის სფეროში მოქმედი სამინისტროს, მინისტრისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობას, მათი შესრულების მდგომარეობას, შეისწავლის და აანალიზებს ამ აქტების

გამოყენების პერიოდში გამოვლენილ ხარვეზებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც უგზავნის შესაბამის უწყებას. რეკომენდაციების განხილვის ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს კომიტეტს არა უგვიანეს 1 თვისა ან მის მიერ დადგენილ ვადაში“.

პარლამენტის რეგლამენტის 198-ე მუხლის მიხედვით, „საქართველოს მთავრობის წევრი, მოთხოვნის შემთხვევაში, ვალდებულია დაესწროს კომიტეტის, საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიის სხდომას, პასუხი გასცეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წერილობით წარმოადგინოს განუყოფელი საქმიანობის ანგარიში“. ამასთან, პარლამენტის რეგლამენტის 199-ე მუხლის თანახმად, „კომიტეტები, საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის მოსმენის, კონტროლისა და შემოწმების შედეგად საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების დარღვევის გამოვლენილ ფაქტებზე შეიმუშავებენ და მთავრობას, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოებს უგზავნიან რეკომენდაციებს, რომელთა განხილვის შედეგები ან მიღებული ზომები არა უგვიანეს 1 თვისა ან წინასწარ დადგენილ ვადაში ეცნობება შესაბამის კომიტეტს, კომისიას“.

საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელოვანი მექანიზმია პარლამენტის წევრის კითხვა და პარლამენტის წევრთა ათკაციანი ჯგუფის, ფრაქციის შეკითხვა. პარლამენტის რეგლამენტის 211-ე მუხლის მიხედვით, „პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, მთავრობის წევრს, ქალაქის მერს, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებას და მათგან მიიღოს პასუხი. კითხვა შეიძლება დასმულ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. თითოეული ორგანო და თანამდებობის პირი, რომელსაც კითხვით მიმართეს, ვალდებულია პარლამენტს კითხვის მიღებიდან 15 დღეში წარუდგინოს წერილობითი პასუხი“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი — „პარლამენტის წევრთა ათკაციანი ჯგუფს, ფრაქციას უფლება აქვს შეკითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, მთავრობის წევრს, რომლებიც ვალდებული არიან დასმულ შეკითხვას უპასუხონ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. შეკითხვებზე პასუხობენ ყოველი თვის პლენარული სხდომის ბოლო ხუთმბათს, სამთავრობო საათის დროს“.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 197-ე მუხლის თანახმად, „პარლამენტი უფლებამოსილია, კომიტეტის ან ფრაქციის მოთხოვნის საფუძველზე, პლენარულ სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ პარლამენტის სრული შემადგენლობის ერთი მეხუთედისა, მიიღოს გადაწყვეტილება პლენარულ სხდომაზე საქართველოს მთავრობის წევრის მოწვევის, განსახილველი საკითხისა და პლენარულ სხდომაზე მისი განხილვის თარიღის შესახებ, რაც ფორმდება საოქმო ჩანაწერით და დაუყოვნებლივ ეგზავნება ადრესატს“.

გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ **კანონი ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნას**. ამ საბჭოს უფლებამოსილებათა მოცულობა გულისხმობს არა მხოლოდ კანონის აღსრულებაზე კონტროლის უზრუნველმყოფი მექანიზმების ფორმირებას, არამედ ამ სფეროში სამომავლო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფუნქციის შესრულებასაც.

ზემოაღნიშნული მექანიზმების პარალელურად, გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, „გენდერული თანასწორობის შესახებ“ **კანონი ითვალისწინებს საქართველოს პარლამენტის მიერ გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნას**. ამ საბჭოს უფლებამოსილებათა მოცულობა გულისხმობს არა მხოლოდ კანონის აღსრულებაზე კონტროლის უზრუნველმყოფი მექანიზმების ფორმირებას, არამედ ამ სფეროში სამომავლო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფუნქციის შესრულებასაც. აღნიშნული თვალსაზრისით ეს ორგანო უკავშირდება საქართველოს პარლამენტის, როგორც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს, მიერ ისეთი ფუნქციის განხორციელებას, როგორიცაა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე“.

კანონის ზემოაღნიშნულ მუხლშივე განსაზღვრულია გენდერული თანასწორობის საბჭოს უფლებამოსილებები. გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციებიდან აღსანიშნავია შემდეგი: საბჭო შეიმუშავებს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგენს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელ სამოქმედო გეგმას და უზრუნველყოფს ამ გეგმის შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგის; იგი უფლებამოსილია განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და შეიმუშაოს წინადადებები კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, შეიმუშაოს და დანერგოს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები, გამოითხოვოს და მიიღოს გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, განიხილოს გენდერული

თანასწორობის დარღვევის თაობაზე შემოსული განცხადებები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მათზე რეაგირება და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები.

გენდერული თანასწორობის საბჭო წელიწადში ერთხელ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს საქართველოში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, ამზადებს ანგარიშებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ. უფლებამოსილია, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობებში წარმოადგინოს საქართველოს პარლამენტი.

გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი პირობები ასახულია ასევე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში. რეგლამენტში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის უფლებამოსილებებს დაემატა ნორმა, რომლის თანახმადაც, პარლამენტის თავმჯდომარე „გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის და ხელმძღვანელობს გენდერული თანასწორობის საბჭოს“. ამასთან, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს საბჭოს წევრებს“. პარლამენტის რეგლამენტის 26¹² მუხლის მიხედვით კი „გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი დავალებით – მისი ერთ-ერთი მოადგილე. გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს, შესაბამისად, პარლამენტის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის სამდივნო“.

აღსანიშნავია, რომ გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის განსაზღვრულ ფუნქციებთან ერთად კანონი ითვალისწინებს გენდერულ სფეროში კანონმდებლობისა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების შემდგომი სტრატეგიის განსაზღვრის პირობებს. კერძოდ, კანონი გენდერულ სფეროში შესაძლოდ არსებული პრობლემებისა და გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრისათვის ითვალისწინებს ისეთი მოქნილი მექანიზმის გამოყენებას, როგორცაა კანონქვემდებარე აქტით გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი სამოქმედო გეგმის დამტკიცება, რომლითაც განისაზღვრება სფეროში არსებული პრობლემები, მისი დაძლევისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებები და სამომავლო საქმიანობის მიმართულებები, ასევე ის პასუხისმგებელი უწყება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ამ ღონისძიების განხორციელება. საყურადღებოა, რომ ამგვარი გეგმების განხორციელების უმნიშვნელოვანესი წინაპირობა და შემადგენელი კომპონენტია მათ შესრულებაზე ეფექტური მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის დაცვისა და უზრუნველყოფის სფეროში ასევე ითვალ-

ისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობასაც. ამ საკითხს ეხება კანონის მე-13 მუხლი, რომლის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, შეიმუშავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია“.

აღნიშნული მუხლი ასევე განსაზღვრავს თანასწორობის უზრუნველყოფის საქმეში სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის ორგანიზაციული, საინფორმაციო და სხვა სახის დახმარების გაწევსა და თანამშრომლობის პირობებს. კერძოდ, კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უნევენ ორგანიზაციულ, საინფორმაციო და სხვა სახის დახმარებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მათ საქმიანობაში დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით.

კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის დაცვის მონიტორინგს და რეაგირებას ახდენს გენდერული თანასწორობის დარღვევაზე.

აღსანიშნავია „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად გენდერული თანასწორობის დაცვის მონიტორინგის სისტემაში საქართველოს სახალხო დამცველის ჩართვა და მონაწილეობა. კერძოდ, კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის დაცვის მონიტორინგს და რეაგირებას ახდენს გენდერული თანასწორობის დარღვევაზე. საქართველოს სახალხო დამცველი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს მისთვის „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

ამ თვალსაზრისით საყურადღებოა „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით სახალხო დამცველისათვის გათვალისწინებული უფლებამოსილებების მიმოხილვა. „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მიხედვით, „საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, ავლენს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლებების აღდგენას“. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კი

„საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ ფარგლებში, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისა და სახელმწიფოს მიერ მათი უზრუნველყოფის მიზნით ზედამხედველობს სახელმწიფო ხელისუფლებას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, თანამდებობისა და იურიდიულ პირთა საქმიანობას, აფასებს მათ მიერ მიღებულ აქტებს, აძლევს რეკომენდაციებსა და წინადადებებს“.

აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მიხედვით, „საქართველოს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, მათი დარღვევის ფაქტებს, როგორც მიღებული განცხადებისა და საჩივრის საფუძველზე, ასევე საკუთარი ინიციატივით, თუ მისთვის ცნობილი გახდება ეს დარღვევები“. „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მიხედვით კი „საქართველოს სახალხო დამცველი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, საქართველოში მყოფ უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებებსა და საჩივრებს, რომლებიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, სანარმოთა, თანამდებობისა და იურიდიულ პირთა ქმედებებს ან მათ აქტებს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა, აგრეთვე იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის შესახებ, რომელთა მონაწილეც არის საქართველო“.

განცხადებისა და საჩივრის მიღების შემდეგ საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება შემოწმების თაობაზე. „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-18 მუხლის მიხედვით, შემოწმების ჩატარებისას საქართველოს სახალხო დამცველს უფლება აქვს: დაუბრკოლებლად შევიდეს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ნებისმიერ ორგანოში, სანარმოში, ორგანიზაციაში და დაწესებულებაში, მათ შორის, სამხედრო ქვედანაყოფში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, დაკავების და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში; მოსთხოვოს და მიიღოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, სახელმწიფო და არასახელმწიფო სანარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან, აგრეთვე თანამდებობის და იურიდიულ პირთაგან შემოწმებისათვის აუცილებელი ყველა ცნობა, საბუთი და სხვა მასალა.

შემოწმების შედეგების მიხედვით, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია: ადამიანის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა აღსადგენად რეკომენდაციები გაუზღვავოს იმ სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის ან იურიდიულ პირს, რომლის მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა დარღვევა; შეიტანოს წინადადებები შესაბამის ორგანოებში იმ პირთა დისციპლინარული ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევა.

„სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე

მუხლის მიხედვით, „სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის ან იურიდიული პირი, რომელიც მიიღებს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციებს ან წინადადებებს, ვალდებულია ერთი თვის ვადაში განიხილოს და წერილობით აცნობოს საქართველოს სახალხო დამცველს განხილვის შედეგები“. ამასთან, აღნიშნული კანონის 23-ე მუხლის თანახმად, „ყველა სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, თანამდებობის თუ იურიდიული პირი ვალდებულია ყოველმხრივ დაეხმაროს საქართველოს სახალხო დამცველს, დაუყოვნებლივ წარუდგინოს მასალები, საბუთები და სხვა ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება საქართველოს სახალხო დამცველს თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად. მასალები, საბუთები, სხვა ინფორმაცია და ახსნა-განმარტება საქართველოს სახალხო დამცველს უნდა გადაეცეს მოთხოვნის მიღებიდან 15 დღის ვადაში. აუცილებლობის შემთხვევაში ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს საქართველოს სახალხო დამცველის თანხმობით“.

აღსანიშნავია, რომ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მიხედვით, „საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობისათვის ნებისმიერი ფორმით დაბრკოლების შექმნა ისჯება კანონით და აისახება საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშში, რაც საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იქნება“. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173⁴ მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას სახალხო დამცველის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო, რომლის მიხედვით, „სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ოციდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე“.

სახალხო დამცველისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული აღნიშნული უფლებამოსილებები მნიშვნელოვანი მექანიზმები და ეფექტური საშუალებებია სახალხო დამცველის მიერ გენდერული თანასწორობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და გადწყვეტისას.

თავი IV

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება არის პირველი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების საკანონმდებლო მონესრიგების სფეროში. კანონის შემდგომი ეფექტური გამოყენება უცილობლად მოითხოვს კანონმდებლობაში დამატებითი ნორმების შემოღებას, რაც უფრო ქმედითს გახდის კანონის მოქმედებასა და მისი პრინციპების რეალიზებას, იქნება ეს გენდერული თანასწორობის მოთხოვნის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრა, დამატებითი წამახალისებელი ნორმების დანესება გენდერული თანასწორობის რეალური უზრუნველყოფისათვის თუ ამ სფეროში შესაბამის სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციებისა და მოვალეობების ზუსტი და ამომწურავი

განსაზღვრა. ყოველივე ამის უზრუნველყოფა მოხდება გენდერული თანასწორობის სფეროში კანონმდებლობის განვითარების შემდგომ ეტაპზე, კანონის გამოყენების, მისი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე.

აქვე აღსანიშნავია კანონის გარდამავალ დებულებაში მოცემული ნორმა, რომლის მიხედვით, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, საჭიროების შემთხვევაში, ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უნდა განახორციელონ თავიანთი საქმიანობის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების ანალიზი. სწორედ ამ ანალიზისა და არსებული პრაქტიკისა და გამოცდილების განზოგადების საფუძველზეა შესაძლებელი დაისვას საკითხი როგორც კანონმდებლობაში არსებული შესაძლო დისკრიმინაციული ნორმების აღმოფხვრისათვის, ასევე რეალური თანასწორობის უზრუნველყოფისათვის ცალკეული, განსაკუთრებული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ.

აქვე აღსანიშნავია კანონის გარდამავალ დებულებაში მოცემული ნორმა, რომლის მიხედვით, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, საჭიროების შემთხვევაში, ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში უნდა განახორციელონ თავიანთი საქმიანობის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების ანალიზი. სწორედ ამ ანალიზისა და არსებული პრაქტიკისა და გამოცდილების განზოგადების საფუძველზეა შესაძლებელი დაისვას საკითხი როგორც კანონმდებლობაში არსებული შესაძლო დისკრიმინაციული ნორმების აღმოფხვრისათვის, ასევე რეალური თანასწორობის უზრუნველყოფისათვის ცალკეული, განსაკუთრებული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის მიღება არის წინააღმდეგობრივი ნაბიჯი გენდერული თანასწორობის საკანონმდებლო დონეზე მონესრიგების თვალსაზრისით. მიღებული კანონი ორგანულად და შინაარსობრივად ერწყმის და უკავშირდება ქართულ კანონმდებლობას და თავის მხრივ ავსებს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული სპეციფიკური ნორმატიულ-სამართლებრივი საკითხებით. კანონი გარკვეული თემატურობით, სისტემური და კოდიფიცირებული ნორმების სახით გვთავაზობს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ დებულებებს, მათი დაცვის, გამოყენებისა და მონიტორინგის სისტემას, გენდერული თანასწორობის დაცვაზე ზედამხედველობის მექანიზმებს. კანონი, თავისი სპეციფიკური შინაარსის გათვალისწინებით, შეიცავს გენდერული თანასწორობის დაცვისა და უზრუნველყოფისათვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე ნორმებს და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ბაზისს ამ სფეროში კანონმდებლობის შემდგომი განვითარებისათვის.

გზამკვლევის მომზადებისას გამოყენებული საკანონმდებლო აქტები:

- „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „ოფიციალური სტატისტიკის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „უმალღესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი ადგენს ქალისა და მამაკაცის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს.

მუხლი 2. კანონის მიზნები

ამ კანონის მიზნებია: უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისკრიმინაციის დაუშვებლობა, სათანადო პირობების შექმნა ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზაციისათვის, ხელი შეუწყოს დისკრიმინაციის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.

მუხლი 3. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:
 - ა) **გენდერი** – სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე;
 - ბ) **გენდერული თანასწორობა** – ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში;
 - გ) **დისკრიმინაცია** – სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა ან/და შეზღუდვა, რომელიც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან უარყოფით და ხორციელდება პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის ფორმით;
 - დ) **პირდაპირი დისკრიმინაცია** – სამართლებრივი აქტის, პროგრამის თუ სხვა საჯარო პოლიტიკის საფუძველზე პირის სქესის ნიშნით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება (გარდა ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);
 - ე) **ირიბი დისკრიმინაცია** – სამართლებრივი აქტი, პროგრამა თუ სხვა საჯარო პოლიტიკა, რომელიც პირდაპირ არ მიუთითებს დისკრიმინაციაზე, მაგრამ რომლის განხორციელება დაკავშირებულია დისკრიმინაციული შედე-

გის დადგომასთან (გარდა ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა);

ვ) **განსაკუთრებული ღონისძიება** – ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს დისკრიმინაციული შედეგების გამოსწორებას და მიმართულია პირთა წრისადმი, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას გენდერული თავისებურებებიდან გამომდინარე;

ზ) **თანასწორი შესაძლებლობები** – ქალისა და მამაკაცის უფლებებისა და თავისუფლებების თანასწორობის მიღწევის საშუალებებისა და პირობების სისტემა;

თ) **თანასწორი მოპყრობა** – განათლების, შრომისა და სოციალური პირობების დადგენისას, საოჯახო ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვა სფეროებში ორივე სქესის პირთა თანასწორი უფლებებისა და შესაძლებლობების აღიარება, სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა.

2. ამ კანონში სხვა ტერმინი, თუ არ არის სპეციალური მითითება, გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობით

თავი II

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები

მუხლი 4. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის გარანტიები

1. სახელმწიფო ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.
2. გენდერული თანასწორობის დაცვის მიზნით, დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფილია:
 - ა) ქალისა და მამაკაცის თანასწორი ინდივიდუალური უფლებები და თავისუფლებები;
 - ბ) ქალისა და მამაკაცისათვის განათლების მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა და განათლების თავისუფალი არჩევანი სწავლების ყველა ეტაპზე;
 - გ) მეუღლეთა უფლებრივი თანასწორობა;
 - დ) შვილებთან დაკავშირებული თანასწორი უფლებები და მოვალეობები;
 - ე) ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლება-მოვალეობები – იყენენ ბავშვთა მეურვეები, მზრუნველები, რწმუნებულები, მშვილელეები;
 - ვ) ოჯახსა და საზოგადოებაში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა;
 - ზ) პროფესიის ან სამუშაოს სახეობის თავისუფლად არჩევა, თანამდებობრივი დანიშნულება, პროფესიული მომზადება/გადამზადება;
 - თ) საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავება პროფესიული ნიშნის, უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;
 - ი) თანასწორი მოპყრობა ქალისა და მამაკაცის მუშაობის ხარისხის შეფასებისას;

- კ) თანაბარი სოციალური უზრუნველყოფა ქალისა და მამაკაცის ავადმყოფობისას და შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის დადგენის შემთხვევაში;
- ლ) თანასწორი შესაძლებლობების შექმნა ქალისა და მამაკაცის ჯანმრთელობის დაცვისას;
- მ) ქალისა და მამაკაცისათვის თანასწორი შესაძლებლობების შექმნა ინფორმაციის ხელმისაწვდომობისას.

3. საქართველოს კანონმდებლობა გენდერული თანასწორობის შესახებ ემყარება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ამ კანონსა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

მუხლი 5. გენდერულ სფეროში სტატისტიკის წარმოება

გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში შეიტანება სქესის ნიშნით განცალკევებული მონაცემები.

მუხლი 6. გენდერული თანასწორობა შრომითი ურთიერთობებისას

1. შრომითი ურთიერთობებისას დაუშვებელია:
 - ა) პირის დისკრიმინაცია, დევნა ან/და იძულება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას;
 - ბ) სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი სიტყვიერი, არასიტყვიერი ან ფიზიკური ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვას ან მისთვის დამამცირებელი, მტრული ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.
2. სახელმწიფო ხელს უწყობს დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას ორივე სქესის პირთათვის.
3. დასაქმებისას და შრომითი მოვალეობების შესრულებისას დასაშვებია სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ან/და მათთვის უპირატესობის მინიჭება, რაც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, ემსახურება კანონიერი მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება.
4. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილია ორსული ქალებისა და მეჭუძური დედებისათვის შრომის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რაც გამორიცხავს მათ საქმიანობას მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან გარემოში, აგრეთვე ღამის საათებში.

მუხლი 7. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის სახელმწიფო გარანტიები განათლებისა და მეცნიერების სფეროებში

1. ყველას აქვს საკუთარი შესაძლებლობის გათვალისწინებით პროფესიისა და სპეციალობის თავისუფლად არჩევის უფლება. ამ თანასწორობის უზრუნველყოფა ხდება ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობით, დისკრიმინაციის გარეშე.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ქალისა და მამაკაცის მიერ ყველა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებებში ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების მიღებაში თანასწორი პირობების შექმნას, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესების განხორციელებაში მონაწილეობის ჩათვლით.

მუხლი 8. საინფორმაციო რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობა
სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ვალდებული არიან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყონ მათთან დაცული საჯარო ინფორმაციის მიღების თანაბარი ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირის სქესის ნიშნით განსხვავებულობის მიუხედავად.

მუხლი 9. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სფეროებში

1. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სფეროებში უზრუნველყოფილია მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა დისკრიმინაციის გარეშე.
2. დისკრიმინაციად არ განიხილება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობის, ოჯახის დაგეგმვისა და ქალთა რეპროდუქციული უფლებების დაცვის მიზნით განხორციელებული განსაკუთრებული ღონისძიებები, აგრეთვე ორსული ქალისა და დედობის დაცვისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა, გენდერული თავისებურებების გათვალისწინებით განხორციელებული სხვა ღონისძიებები.

მუხლი 10. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საოჯახო ურთიერთობებში

1. საოჯახო ურთიერთობებში, ქორწინებისა და განქორწინების დროს ქალი და მამაკაცი სარგებლობენ თანასწორი პირადი და ქონებრივი უფლებებით, მათ შორის, გვარის, პროფესიისა და საქმიანობის არჩევის უფლებით, და ეკისრებათ თანასწორი მოვალეობები. საოჯახო ურთიერთობებში არ დაიშვება უფლებამოვალეობებთან დაკავშირებით დისკრიმინაცია ან უპირატესობის მინიჭება.
2. ოჯახში ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლება აქვთ, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობის საკითხები.
3. შვილების აღზრდისა და ოჯახის სხვა საკითხებს მეუღლეები ერთად, ურთიერთშეთანხმებით წყვეტენ. გარანტირებული და უზრუნველყოფილია მეუღლეთა მიერ საქმიანობისა და შვილების აღზრდის თანასწორი შესაძლებლობები.
4. ოჯახში მეუღლეთა მიერ განუღებულ შრომასთან დაკავშირებული უფლებამოვალეობები თანასწორია.
5. მეუღლეებს აქვთ ქონების ფლობის, შექმნის, მართვის, გამოყენებისა და განკარგვის თანასწორი უფლება.

6. მეუღლეებს თანასწორი უფლება აქვთ, მონაწილეობა მიიღონ დავსვენებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებში და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში.

მუხლი 11. თანასწორი საარჩევნო უფლებების გარანტიები

1. ყველას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე.
2. წარმომადგენლობით ორგანოში არჩევის უფლების რეალიზაციისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ორივე სქესის პირთა თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობა.
3. ქალები და მამაკაცები შეიძლება არჩეულ იქნენ თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე.

თავი III

გენდერული თანასწორობის დაცვაზე ზედამხედველობა

მუხლი 12. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა საქართველოს პარლამენტის მიერ

1. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს გენდერულ სფეროში საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, აღნიშნულთან მიმართებით პარლამენტის გადანყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლს.
2. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
3. გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია:
 - ა) შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად განხორციელებული სამოქმედო გეგმა და უზრუნველყოს ამ გეგმის შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;
 - ბ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და შეიმუშაოს წინადადებები კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად;
 - გ) უზრუნველყოს საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი საკანონ-

დებლო აქტების პროექტების ექსპერტიზა გენდერული თანასწორობის შეფასების თვალსაზრისით;

დ) შეიმუშაოს და დაგეგმოს ცალკეული ღონისძიებები გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის, ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების რეალიზაციისათვის;

ე) შეიმუშაოს და დანერგოს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისათვის განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;

ვ) გამოითხოვოს და მიიღოს გენდერული თანასწორობის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) განიხილოს გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე წარდგენილი განცხადებები, დოკუმენტაცია და სხვა ინფორმაცია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს მათზე რეაგირება და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები;

თ) გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მონივიოს შესაბამის დარგში მომუშავე საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ან/და ექსპერტები;

ი) განახორციელოს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

4. გენდერული თანასწორობის საბჭო წელიწადში ერთხელ საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს საქართველოში გენდერული თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, ამზადებს ანგარიშებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე საერთაშორისო დონეზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის თაობაზე; გენდერული თანასწორობის საბჭო უფლებამოსილია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე, გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს საქართველოს პარლამენტი საერთაშორისო ურთიერთობებში.

5. გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზაციული სტრუქტურა, მუშაობის წესი და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით.

მუხლი 13. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად შეიმუშავენ და ახორციელებენ ღონისძიებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

2. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი, სოციალურ-ეკო-

ნომიკური განვითარების პრიორიტეტები, მუნიციპალური პროგრამები და გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.

3. სახელმწიფო ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უნევენ ორგანიზაციულ, საინფორმაციო და სხვა სახის დახმარებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მათ საქმიანობაში დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მიზნით.

მუხლი 14. საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებები გენდერული თანასწორობის დაცვასთან დაკავშირებით

1. საქართველოს სახალხო დამცველი თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის დაცვის მონიტორინგს და რეაგირებას ახდენს გენდერული თანასწორობის დარღვევაზე.
2. საქართველოს სახალხო დამცველი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს მისთვის „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

თავი IV

გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 15. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიება

სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა, საჭიროების შემთხვევაში, ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში განახორციელონ თავიანთი საქმიანობის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების ანალიზი.

მუხლი 16. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საქართველოს პრეზიდენტი
მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,
2010 წლის 26 მარტი
N2844-IX

The Law of Georgia on Gender Equality

CHAPTER I. GENERAL PROVISIONS

Article 1. The Scope of the Law

The Law determines main directions and guarantees for the provision of equal rights, freedoms and opportunities for men and women provided by the Georgian Constitution, as well as define legal mechanisms and conditions for their implementation in the relevant spheres of public life.

Article 2. The Purpose of the Law

The purpose of the Law is to ensure inadmissibility of discrimination in all spheres of public life, creation of proper conditions for the enjoyment of equal rights, freedoms and opportunities by men and women, support eradication and mitigation of all forms of gender discrimination.

Article 3. Definitions

1. For the purpose of the Law:

- a) "Gender" shall mean social aspect of gender relations expressed in all spheres of public life and implying socially defined attitudes towards either sex;
- b) "Gender Equality" shall mean - part of human rights referring to equal rights and obligations, responsibilities and equal participation of men and women in all spheres of personal and public life;
- c) "Discrimination" shall mean any distinction, exclusion and/or restriction made on the basis of sex, expressed in dissimilar recognition of human rights and basic freedoms which has the effect of impairing or nullifying the recognition of opportunities through direct or indirect discrimination.
- d) "Direct Discrimination" shall mean treating a person less favourably on the basis of sex, based on a normative act, programme or other public policy (except the cases defined under paragraph "f");
- e) "Indirect Discrimination" shall mean a normative act, programme or other public policy which is not directly discriminating; however its implementation would have discriminatory outcomes (except the cases

defined under paragraph “f”);

f) “Special Measures” shall mean measures aimed at rectifying discriminatory outcomes for the circle of persons in need of special protection because of gender peculiarities.

g) “Equal Opportunities” shall mean a system of means and conditions for achieving equality in rights and freedoms of men and women;

h) “Equal Treatment” shall mean recognition of equal rights and opportunities for both men and women in legal family relations and other spheres of public and political life while defining social conditions for education and labour, as well as inadmissibility of discrimination on the basis of sex.

2. Other terms used in the Law shall be applied as defined by the current legislation in the absence of any special provisions.

CHAPTER II. GUARANTEES FOR ENSURING GENDER EQUALITY

Article 4. Guarantees for ensuring gender equality

1. The State shall support and ensure equal rights of men and women in political, economic, social and cultural life;

2. To maintain gender equality, the following shall be guaranteed without discrimination:

a. individual rights and freedoms of men and women;

b. access to education and free choice of education at all stages of learning for women and men ;

c. equal rights of spouses;

d. equal rights and obligations related to children;

e. equal rights and obligations of men and women to act as children’s guardians, caretakers, custodians, or foster parents;

f. combating violence in the family and society;

g. freedom of choice of profession or type of labour, professional advancement, and vocational education;

h. holding civil service positions on the basis of professionalism, abilities and qualifications;

i. maintaining equality in evaluating the quality of work performed by women and men;

j. equal social protection of women and men in case of sickness and while defining disability status;

k. creating equal opportunities for the protection of health of women and men;

1. creating equal opportunities for women and men in terms of access to information.
3. The Georgian legislation on gender equality is based on the Constitution of Georgia, international treaties and agreements, the given Law and other normative acts.

Article 5. Gender statistics

Official statistical reports related to gender issues shall contain gender disaggregated data.

Article 6. Gender equality in labour relations

1. Labour relations shall not allow for:
 - a. discrimination, persecution and/or harassment of a person, which is aimed at or results in the creation of intimidating, hostile, humiliating, degrading or offensive atmosphere.
 - b. any adverse verbal, non-verbal or physical behaviour of sexual nature aimed at or resulting in personal offence or creating intimidating, hostile or humiliating environment.
2. The State shall facilitate equal access to employment to both men and women.
3. During recruitment and performing professional obligations, individuals may be subject to unequal treatment on the basis of sex and / or put in unequal conditions, provided that it is defined by the type of work, its specifics or conditions of performance, serves the legitimate purpose and represents adequate as well as necessary means for its achievement.
4. Rules defined by the Georgian legislation shall ensure provision of favourable conditions of work for pregnant women and breastfeeding mothers, which does not allow for their employment in extreme, harmful or hazardous conditions, as well as in night shifts.

Article 7. State guarantees of gender equality in education and science

1. Everybody has the right to choose profession and field of expertise according to their individual capacities. Ensuring such equality shall be achieved through equal access to general, professional and high education without discrimination.
2. The State shall ensure that equal conditions are created for men and women in terms of access to general, professional, and high education,

including participation in education and research processes.

Article 8. Equal distribution of information resources

The State and local self-governing bodies, legal persons of public and private law shall ensure equal access of men and women to their resources in compliance with the rules defined by the legislation, including information resources, irrespective of differences on the basis of sex.

Article 9. Maintaining gender equality in health and social sector

1. Equal access to medical assistance without discrimination is ensured for the population in the spheres of health and social protection.
2. Special measures taken for the protection of maternal and children's health, or family planning and women's reproductive rights shall not be considered as discrimination, including the State policy for the protection of pregnancy and motherhood, as well as other gender sensitive measures.

Article 10. Ensuring gender equality in family relations

1. In family relations, marriage and divorce, women and men shall enjoy equal personal and property rights, including the right to choose surname, profession and activities, and have equal responsibilities. There shall be no discrimination or partiality with regards to rights and obligations in family relations.
2. Women and men shall have equal rights in the family to independently take decisions regarding their participation in labour or public activities.
3. Issues of raising children and other family matters shall be dealt by spouses jointly, based on their mutual agreement. Equal opportunities of spouses in terms of their labour activities and childcare shall be guaranteed and ensured.
4. Rights and obligations of spouses in terms of family labour shall be equal.
5. Spouses shall enjoy equal rights to own, acquire, manage, utilize and dispose property.
6. Spouses shall enjoy equal rights to participate in leisure activities and all spheres of cultural life.

Article 11. Guarantees for equal election rights

1. Everyone shall enjoy the right to participate in elections on equal conditions without discrimination;
2. To provide the right to be represented in the representative body, equal opportunities of both women and men shall be ensured;
3. Women and men can be elected on equal conditions without discrimination.

CHAPTER III. OVERSIGHT OF GENDER EQUALITY

Article 12. Ensuring gender equality by the Parliament of Georgia

1. In compliance with the regulations of the Georgian Parliament and Legislation, the Parliament of Georgia shall ensure preliminary preparation of legislative issues in the field of gender and facilitation of Parliament decisions in this regard, as well as exercise oversight over the activities of the bodies reporting to the Parliament of Georgia;
2. In compliance with the regulations of the Georgian Parliament and Legislation, and with the aim of ensuring systemic and coordinated work on gender issues, the Parliament of Georgia shall create a Gender Equality Council. The composition, status, functions and authority of the Council shall be defined by the Parliamentary resolution and regulatory provisions of the Gender Equality Council approved by the Chairperson of the Parliament.
3. The Council shall be entitled to:
 - a. develop and submit an action plan on ensuring gender equality to the Government of Georgia for endorsement, and ensure coordination and monitoring of its implementation;
 - b. carry out gender audit and develop proposals for overcoming existing gender disparities in the legislation;
 - c. conduct gender review of draft laws;
 - d. develop targeted programmes and plan separate activities for achieving gender equality and enjoyment of equal rights by women and men;
 - e. develop and institutionalise the system of monitoring and evaluation of interventions for ensuring gender equality, as well as develop respective recommendations;
 - f. request and receive any information or documentation from any State or local self-governing bodies related to gender equality issues, except for documents, confidentiality of which is ensured by the current legislation;
 - g. review statements, documentations or other information regarding

violation of gender equality, respond to them, and develop relevant recommendations under its authority;

h. invite representatives and/or experts from international or local organisations working in the relevant field to discuss issues related to gender equality;

i. perform other activities defined by the legislation of Georgia.

4. The Council shall annually submit a report on gender equality in Georgia to the Parliament of Georgia, and prepare reports on the fulfilment of obligations in terms of ensuring gender equality under international agreements. Based on the decision of the Chairperson of the Parliament of Georgia, the Gender Equality Council is authorised to represent the Parliament of Georgia on gender equality issues in international relations.

5. Organisational structure of the Gender Equality Council, modus operandi and relation with the State bodies shall be defined by the regulations of the Parliament and the Gender Equality Council.

Article 13. Ensuring gender equality by local self-government bodies

1. In compliance with the Organic Law of Georgia on Local Self-Governance and other legislative acts, local self-governing bodies shall develop and implement interventions for identifying and resolving gender disparities locally;

2. Budget of the local self-governance units, priorities of socio-economic development, municipal programmes and plans shall be developed in a manner that it eliminates any form of discrimination.

3. State bodies shall provide organisational, information and other assistance to local self-governing bodies within their authority for mitigating discrimination in their activities and protection of universally recognized rights and freedoms.

Article 14. Ensuring gender equality by the Public Defender of Georgia

1. The Public Defender of Georgia shall ensure protection of gender equality, monitoring of the given field and respond to violations of gender equality within the framework of its authority.

2. Within the authority granted by the Organic Law of Georgia on Public Defender, the Public Defender of Georgia shall perform his/her duties for ensuring gender equality.

**CHAPTER IV.
TRANSITIONAL AND CONCLUDING PROVISIONS**

Article 15. Measures to be taken for the enactment of the given Law

State and local self-governing bodies shall perform analysis of normative acts in their respective fields as needed within six months after the enactment of the given Law;

Article 16. Enactment of the law

The law shall come into force immediately upon its publishing.

The President of Georgia
Mikheil Saakashvili

Tbilisi
26 March 2010
N 2844 – Ib

